SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, გაფორმებისა და დაცვის ინსტრუქცია

1. შესავალი

1.1. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისთვის საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოპოვება და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა.

1.2. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი მაგისტრანტის მიერ საკითხის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შედეგია, გაფორმებული წერილობითი სახით საუნივერსიტეტო დადგენილი მოთხოვნათა მიხედვით.

1.3. სამაგისტრო ნაშრომი აჩვენებს მაგისტრანტის საკითხის კვლევით უნარებს და მოიცავს ორიგინალურ კვლევას, კვლევის შედეგების ანალიზსა და გადაწყვეტებს/დასკვნებს/რეკომენდაციებს.

1.4. სამაგისტრო პროექტი აჩვენებს მაგისტრანტის საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და მისი პრაქტიკაში გადატანის უნარს. იგი შეიძლება მოიცავდეს პროტოტიპის დამზადებას, კომპლექსური პრობლემის გადაჭრის ახლებურ გზას და სხვა.

1.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისათვის გათვალისწინებული კრედიტები განსაზღვრულია შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით.

2. სამაგისტრო კვლევა/პროექტი

2.1. სამაგისტრო კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს ექსპერიმენტული ან თეორიული კვლევის სახით.

2.2. სამაგისტრო კვლევის თემა შეირჩევა მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის ურთიერთშეთანხმებით.

2.3. სამაგისტრო კვლევის/პროექტის თემის შერჩევა უნდა მოხდეს:

2.3.1. პროგრამით გათვალისწინებული მეორე სემესტრის განმავლობაში ექსპერიმენტული ხასიათის კვლევებისათვის, ხოლო მესამე სემესტრში - თეორიული ხასიათის კვლევებისათვის.

2.3.2. სამაგისტრო პროექტის თემისათვის - არაუგვიანეს პროგრამით გათვალისწინებული მესამე სემესტრისა.

2.4. სამაგისტრო კვლევის/პროექტის თემის დასახელება, დაგეგმილი კვლევის სიახლე/ამოცანის გადაჭრის პრაქტიკული გზა და აქტუალობა, სამაგისტრო კვლევის/პროექტის შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების არსებობა და ბიუჯეტი თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

2.5. სამაგისტრო თემის შესახებ ინფორმაცია წერილობითი სახით მიეწოდება სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორს.

2.6. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შესაბამისი განაცხადის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ ერთხელ არაუგვიანეს ბოლო სემესტრის დაწყებისა.

3. მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად

3.1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული წესების გათვალისწინებით.

3.2. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი/პროექტი უნდა შეიცავდეს მოკლე ანოტაციას ინგლისურ ენაზე.

3.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის თავისებურებიდან გამომდინარე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის გაფორმება უცხოურ ენაზე ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3.4. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს უნდა ერთოდეს მოკლე ანოტაცია ქართულ ენაზე (1-3 გვერდი).

3.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის აკინძული გვერდების რაოდენობად განსაზღვრულია არანაკლებ 40 გვერდი. სასურველია, გვერდების რაოდენობა არ აღემატებოდეს 100 გვერდს. გვერდების რაოდენობაში არ იგულისხმება ნაშრომის/პროექტის ბოლოს განთავსებული დანართი.

3.6. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი იბეჭდება A4 ფორმატის ფურცლის მხოლოდ ერთ გვერდზე. ფურცლის ორიენტაცია – ვერტიკალური. სპეციალური თვალსაჩინო დამხმარე მასალები შეიძლება დაიბეჭდოს სპეციალურ ფურცელზე/მასალაზე (მაგ.: ფოტოქაღალდი). დიდი ზომის თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ნახაზები, ტექნოლოგიური სქემები, გენერალური გეგმები და ა.შ.), დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, თუმცა აღნიშნული გვერდები არ იკინძება ძირითად ტექსტთან ერთად. ტექსტი ფურცელზე იბეჭდება ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა აიკინძოს ყდაში.

3.7. ნაბეჭდი გვერდის მინდვრის ზომებია: მარცხენა მხარე – 30 მმ, მარჯვენა მხარე: 15 მმ, ზედა და ქვედა მხარეები – 20 მმ.

3.8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ტექსტისათვის გამოიყენება UNI Code შრიფტები: Sylfaen ან Calibri.

3.9. ყველა გვერდი ინომრება თანმიმდევრულად, თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვების ან გვერდის გამეორების გარეშე. გვერდის ნომრების შრიფტის ზომა არის 10. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ინომრება არაბული ციფრებით, გარდა სატიტულო გვერდისა. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 12.7 მმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 12.7 მმ–ით.

3.10. ძირითადი ტექსტისთვის სტრიქონებს შორის მანძილად განსაზღვრულია ინტერვალი 1.15-1.2. მცირე ზომის სექციებისათვის (მაგ.: შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვ.) განსაზღვრულია ინტერვალი 1.

3.11. ყველა თავის და ქვეთავის დასახელებას უნდა მოიცავდეს სარჩევი. ახალი თავი იწყება ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. შრიფტის ზომა 16 და/ან 14. ფონტის სისქე - მუქი.

3.12. ლიტერატურის ციტირება წარმოებს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) შერჩეული სტილის შესაბამისად (იხ. თავი 3.16) შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ბოლოს დადგენილი წესებით.

3.13. სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. გვერდის ბოლოში განთავსებული სქოლიოს ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შემადგენელი ნაწილები

4.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შემადგენელი კომპონენტებია:

- თავფურცელი (დანართი 1)
- ანოტაცია - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სტრუქტურას, თემის აქტუალობას მიზნებს, კვლევის მეთოდს, ძირითად შედეგებს და მოკლე დასკვნას;
- სარჩევი - ასახავს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და ქვეთავის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მითითებით;
- შემოკლებების ნუსხა - გრძელი ტერმინების აბრევიატურები.

- შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზანი/მიზნები და დასახული ამოცანა/ამოცანები; კვლევის სტრატეგიისა და მეთოდური მიდგომის დასაბუთება. შესავლის ზემოთ აღნიშნული შემადგენელი ნაწილები უნდა იქნას გამოყოფილი ქვეთავების სახით.
- ტექსტის ძირითადი ნაწილი - უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად; ასახული უნდა იყოს:
- ლიტერატურის მიმოხილვა (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს);
- კვლევის დიზაინი და მეთოდები (მათ შორის, სტატისტიკური ანალიზის მეთოდები);
- კვლევის შედეგები და მათი განხილვა.
- დასკვნა - უნდა გამომდინარეობდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შედეგის ანალიზიდან.
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ტექსტში წყაროების გამოყენების ქრონოლოგიის მიხედვით და ჩიკაგოს სტილის დაცვით.
- დანართი (საჭიროების შემთხვევაში).

4.1.1. ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემული უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში დასმული კვლევის ამოცანის ირგვლივ არსებული ლიტერატურის, უპირატესად უკანასკნელი წლების, ანალიზი. ლიტერატურის მიმოხილვა წარმოადგენს კვლევის საგანში უკვე არსებული მიღწევებისა და ღიად დარჩენილი პრობლემების კრიტიკულ ანალიზს. ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 1/3-ს.

4.1.2. კვლევის შედეგები და მათი განხილვა მოიცავს ავტორის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისას ჩატარებული კვლევის ანალიზს, ექსპერიმენტის შედეგების განზოგადებას, ახალი მიგნებების ჩვენებას. შედეგების განსჯის ნაწილის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ქვეთავების მიხედვით. იგი გარდა ტესტური ნაწილისა, ასევე შეიძლება მოიცავდეს ცხრილებს, ნახაზებს, დიაგრამებს, სურათებს და სხვ. ამასთან, დაუშვებელია ერთი და იგივე შედეგის ორი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა („ინფორმაციული ტავტოლოგია“). ამასთანავე, ძირითადი ტექსტიდან უნდა იყოს მიმართება ცხრილებზე, ნახაზებზე, დიაგრამებზე, სურათებზე და სხვ. ან მათში მოცემულ მონაცემებზე.

4.1.3. ექსპერიმენტული სახის ნაშრომებისათვის აუცილებელია ექსპერიმენტული ნაწილი დართვა. მასში აღიწერება ექსპერიმენტში გამოყენებული მასალები, მეთოდები და პროცედურები იმდენად დეტალურად, რომ სხვა ექსპერიმენტატორს მისი განმეორების საშუალება ჰქონდეს. ახალი ექსპერიმენტული პროცედურები დეტალურად უნდა აღწეროს, ხოლო ის ექსპერიმენტი, რომელიც უკვე ერთხელ მაინც იყო აღწერილი რაიმე სახის ლიტერატურაში, მისი დეტალური მოყვანა არ არის საჭირო. როგორც წესი, იგი მიეთითება ლიტერატურის სახით.

4.1.4. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი აუცილებლად მოიცავს მოკლედ ჩამოყალიბებულ დასკვნას და შესაძლო რეკომენდაციებს, რომელშიც მაქსიმალურად ინფორმაციულად არის

ჩამოყალიბებული, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ძირითადი შედეგები.

5. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა (ბიბლიოგრაფია)

5.1. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა თავსდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული ჩიკაგოს სტილი (ციტირების წესები იხილეთ ბმული: https://www.citationmachine.net/chicago) ან IEEE სტილი (ციტირების წესები იხილეთ ბმული https://paperpile.com/s/proceedings-of-the-ieee-citation-style/).

5.2. ერთი და იგივე ნაშრომში/პროექტში ციტირების სხვადასხვა სტილის გამოყენება დაუშვებელია.

6. ცხრილები, ნახაზები და ფორმულები

6.1. ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის/პროექტის სპეციფიკით. სხვა წყაროებიდან აღებული ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები.

6.2. ნახაზები, ცხრილები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე და დანართების სახით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

6.3. ძირითად ტექსტში არსებული ნახაზები და ცხრილების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ნახაზებისა და ცხრილების ნუმერაცია იწყება თავიდან.

7. დანართი

7.1. დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა.

8. საავტორო უფლებები

8.1. სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში საავტორო უფლებებით დაცული მასალების გამოყენებისას დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

9. ნაშრომის/პროექტის აკინძვა

9.1. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი იბეჭდება ორ ეგზემპლარად და იკინძება. ნაშრომის/პროექტის ერთი ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია, დაცვის შემდეგ, უნდა ჩაბარდეს ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით.

10. ნაშრომის ხელმძღვანელი

10.1. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი) და დოქტორანტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში კვლევის გამოცდილება;

10.2. თუ კვლევა მოიცავს ორ განსხვავებულ სფეროს ან კვლევა ტარდება ორ სხვადასხვა ორგანიზაციაში, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი;

10.3. ხელმძღვანელს უფლება აქვს გონივრულ ვადაში უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, რისთვისაც სათანადო არგუმენტაციით წერილობით უნდა მიმართოს მიმართულების ხელმძღვანელს;

10.4. ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენაში და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება ავტორს მათ კორექტირებაში;

10.5. ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ავტორის ვინაობა
- ნაშრომის დასახელება
- მაგისტრანტის უშუალო ჩართულობა ნაშრომის შესრულებაში, მისი კვლევითი უნარები
- რეკომენდაცია ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.

11. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და რეცენზირება

11.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენის აუცილებელი პირობაა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო კურსში დადებითი შეფასება და ფინანსური დავალიანების არ ქონა.

11.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა ტარდება საჯაროდ, შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი დაცვის კომისიის წინაშე.

11.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნა ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ.

11.4. ერთ-ერთი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დასაშვებია დამატებითი რეცენზირების ჩატარება.

11.5. მაგისტრანტი დასრულებულ ნაშრომს/პროექტს, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნით, წარადგენს სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორთან.

11.6. კოორდინატორი მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით ნაშრომს/პროექტს უგზავნის რეცენზენტს მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

11.7. რეცენზენტი შეიძლება იყოს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან პრაქტიკოსი.

11.8. რეცენზენტი ნაშრომის/პროექტის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა ამზადებს დასკვნას ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ და ხელმოწერილს წარუდგენს სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორს.

11.9. რეცენზენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში კოორდინატორი მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით ამზადებს რეკომენდაციას დაცვის (საკვალიფიკაციო) კომისიის შექმნის შესახებ.

11.10. დაცვის კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადისა.

11.11. დაცვის კომისია იქმნება ყოველი დაცვისათვის და შედგება – მიმართულების ხელმძღვანელის (თავმჯდომარე), თემის სპეციფიკის მცოდნე სულ მცირე ერთი წევრისაგან და საჭიროებისამებრ ნაშრომის ხელმძღვანელისა და/ან რეცენზენტისგან.

11.12. ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.

11.13. კოორდინატორი დაცვის კომისიის წევრებს უგზავნის ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას საჯარო დაცვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

12. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა

12.1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა ხდება საჯარო დისკუსიაზე.

12.1.1. საჯარო დაცვა იმართება პირისპირ. დისტანციურ რეჟიმში საჯარო დაცვის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არგუმენტირებული მოთხოვნისა და რექტორთან შეთანხმების საფუძველზე.

12.2. სამაგისტრო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის თავმჯდომარე და წევრთა 3/4.

12.3. დაცვის ჩატარების ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი.

12.4. დაცვის მსვლელობაზე და შემაჯამებელი ოქმის გაფორმებაზე პასუხისმგებელია კომისიის თავმჯდომარე.

12.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე მაგისტრანტის დასწრება და მოხსენება სავალდებულოა.

12.6. სამაგისტრო კომისიის მუშაობას გახსნილად აცხადებს თავმჯდომარე კვორუმის არსებობის შემთხვევაში და დამსწრე საზოგადოებას აცნობს მაგისტრანტის პირად საქმეს.

12.7. კომისია განსაზღვრავს დაცვის რეგლამენტს და თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მაგისტრანტს.

12.8. საჯარო დაცვაზე მაგისტრანტმა უნდა აჩვენოს, რომ ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა სპეციალიზაციის სფეროში ან შეასრულა არსებული კვლევითი პროექტის ნაწილი, შეაგროვა ინფორმაცია, გაიღრმავა სპეციალიზებული ცოდნა და მას შეუძლია თეორიული ცოდნისა და კვლევის მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირება.

12.9. მაგისტრანტის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე კითხვით მიმართავს დამსწრე საზოგადოებას კვლევის შედეგების საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტის არსებობის თაობაზე.

12.10. თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს რეცენზენტს.

12.11. მაგისტრანტი ვალდებულია უპასუხოს რეცენზენტის შენიშვნებსა და შეკითხვებს ასეთის არსებობის შემთხვევაში.

12.12. თავმჯდომარე აცხადებს გახსნილად ღია დისკუსიას. პირველი კითხვის დასმის უფლებით სარგებლობს მოწვეული კომისიის წევრი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

12.13. კითხვების ამოწურვის შემდეგ კომისია იწყებს შეფასებას.

12.14. კომისიის წევრები შეფასებას აფორმებენ ინდივიდუალურად და ობიექტურად.

12.15. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების შეფასებების საფუძველზე აფორმებს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

12.16. თავმჯდომარე ხელმოწერილ ოქმს წარუდგენს სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორს.

13. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

13.1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით); შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 51 ქულა.

13.2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- კარგი – 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

13.3. 13.2.-ის ,,ბ“ პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ,,ბ“ პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

13.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

13.4.1. პირველი კომპონენტი არის წერილობითი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შინაარსი, რომელიც ფასდება რეცენზენტის მიერ მაქსიმუმ 20 ქულით და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. მიზნისა და ამოცანების იდენტიფიცირება, საკითხის აქტუალობა და სიახლე
2. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებთან
3. მაგისტრანტის მიერ საკითხის ფლობა
4. შედეგები/მოსალოდნელი შედეგები მკაფიოდ და სწორად არის ფორმულირებული
5. დასკვნა/დასკვნები მკაფიოდ და სწორად არის ფორმულირებული

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 4 ქულით და შემდეგნაირად:

- 4 ქულა - კრიტერიუმი ამომწურავად და სრულყოფილად არის შესრულებული/წარმოდგენილი ნაშრომში
- 3 ქულა - კრიტერიუმი კარგად არის შესრულებული/წარმოდგენილი ნაშრომში, თუმცა არის მეორეხარისხოვანი ხარვეზები
- 2-1 ქულა - კრიტერიუმი ზედაპირულად არის შესრულებული/წარმოდგენილი ნაშრომში
- 0 ქულა - კრიტერიუმი არ არის შესრულებული/წარმოდგენილი ნაშრომში ან არარელევანტურადაა წარმოდგენილი

13.4.2. მეორე კომპონენტი არის სტუდენტის მუშაობა, რომელიც ფასდება ხელმძღვანელის მიერ მაქსიმუმ 20 ქულით და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. დისციპლინურობა და პასუხისმგებლიანობა
2. ხელმძღვანელის რეკომენდაციების ეფექტიანად გათვალისწინება
3. კვლევის იდეის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა
4. დამოუკიდებლად მუშაობის ხარისხი
5. კვლევის ოპტიმალურ დროში შესრულება და შრომისმოყვარეობა.

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 4 ქულით და შემდეგნაირად:

- 4 ქულა - მუშაობის პროცესში სტუდენტი სრულად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს
- 3 ქულა - მუშაობის პროცესში სტუდენტი უმეტესად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს
- 1-2 ქულა - მუშაობის პროცესში სტუდენტი ნაწილობრივს აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს
- 0 ქულა - მუშაობის პროცესში სტუდენტი არ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს

13.4.3. მესამე კომპონენტი არის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ზეპირი წარდგენა, რომელიც ფასდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მაქსიმუმ 60 ქულით და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. მიზნისა და ამოცანების იდენტიფიცირება, საკითხის აქტუალობა და სიახლე
2. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებთან
3. საჭირო ინფორმაციის/მასალის შესახებ ანალიზი და მსჯელობა, შეკითხვებზე არგუმენტირებული პასუხი
4. შედეგები/მოსალოდნელი შედეგები მკაფიოდ და სწორად არის ფორმულირებული
5. პრეზენტაციის ვიზუალური მხარის სიცხადე და აღქმადობა, პრეზენტაბელურობა (საკითხის გადმოცემის უნარი), დროის მენეჯმენტი

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 12 ქულით და შემდეგნაირად:

- 12 ქულა - კრიტერიუმი ამომწურავად და სრულყოფილად არის შესრულებული
- 10-11 ქულა - კრიტერიუმი კარგად არის შესრულებული, თუმცა არის უმნიშვნელო ხარვეზები
- 7-9 ქულა - კრიტერიუმი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული, თუმცა არის ხარვეზები
- 4-6 ქულა - კრიტერიუმი ზედაპირულად არის შესრულებული, თუმცა დამაკმაყოფილებელია
- 1-3 ქულა - კრიტერიუმი მინიმალურად არის შესრულებული
- 0 ქულა - კრიტერიუმი არ არის შესრულებული ან არარელევანტურადაა შესრულებული

13.5. ნაშრომის/პროექტის დაცვაზე (ზეპირ წარდგენაზე) სტუდენტი დაიშვება რეცენზენტისა და ხელმძღვანელისგან მიღებული დასტურის შემთხვევაში, რომ მისი ნაშრომი/პროექტი მზად არის წარსადგენად, ნაშრომი/პროექტი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ნაშრომი/პროექტი აკმაყოფილებს წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნებს, მათ შორის ნაშრომის/პროექტის გაფორმების მოთხოვნებს.

დანართი 1

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
... სკოლა

მაგისტრანტის სახელი და გვარი

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: ----------

წარმოდგენილია ... მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
(სახელი და გვარი)

თბილისი 20.. წ.